



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №79/1

2019 წლის 22 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევნების შედეგების დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2019 წლის 18 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში – კომისია) კანონის ამოქმედებიდან 15 კალენდარულ დღეში უნდა უზრუნველყოს კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 21 ოქტომბერს №883 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესი“, ხოლო 2019 წლის 21 ოქტომბრის №884 ბრძანებით დაინიშნა კომისიის თავმჯდომარის არჩევნები და შეიქმნა ხმის დამთვლელი კომისია.

2019 წლის 21 ოქტომბერს, ჩატარებული კომისიის თავმჯდომარის არჩევნების შედეგების მიხედვით, 4 (ოთხი) ხმით კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კომისიის წევრი - დავით ნარმანია. არჩევნების დასრულებისთანავე, ხმის დამთვლელმა კომისიამ შეადგინა კენჭისყრის ოქმი, რომელიც „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესის“ მე-8 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, არჩევნების შედეგების დამტკიცების მიზნით, წარედგინა კომისიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და ხმის დამთვლელი კომისიის 2019 წლის 21 ოქტომბრის კენჭისყრის ოქმის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გ ა დ ა ო ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები ხმის დამთვლელი კომისიის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის 21 ოქტომბრის კენჭისყრის ოქმის საფუძველზე.

2. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ 3 წლის ვადით არჩეულია კომისიის წევრი დავით ნარმანია, რომლის უფლებამოსილების ვადა იწყება ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

3. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადებისთანავე.

4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილების საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gnerc.org) გამოქვეყნება.

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6), მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

